№ 92 | მთავრობის მოამბე | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, 27 აპრილი 1920 წ

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სოფიო გიორგის ასული გძელიშვილისა, ელისაბედ ანტონის ასული ჩიკოიძისა, ელენე და ვლადიმერ კასრაძეები და ნინო გძელიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 27 აპრილს სოფ. მეჯვრისხევში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელ ძმის, მეორის ძვირფასს მაზლის და დანარჩენთა დაუვიწყარ ბიძის ტრაღიკულად გარდაცვალებულის

პოლკოვნიკ

ვლადიმერ გიორგის ძის ჩიკოიძის

სულის მოსახსენებლად.

779 1—1

სახელმწიფო თეატრი

ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

სამშაბათს, აპრილის 27-ს, ზ. ფალიაშვილის ბენეფისი ,,აბესალომ და ეთერი''.

ხუთშაბათს, აპრილის 29-ს, ალეშკოს ბენეფისი ,,ზაზა''. პარასკევს, აპრილის 30, ორკესტრის ბენეფისი სტაროსტინას მონაწილეობით I. ,,რიგოლეტო''. II. ,,ქორწილი მოლოროსიაში''. შაბათს, მაისის 1, ოპერა მუშებ. დ საოპერო სეზონის დახურვა ,,ქეთო დ კოტე''.

ამა წლის აპრილის 30-ს დანიშნულია

ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა

ასარჩევია 6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯამაგირი 4000 მანეთი თვეში, საგზაო და დღიური ხარჯი უბნის საზღვრებში მიმოსვლისათვის 500 მანეთი თვეში.

მსურველთ შეუძლიათ გამოგზავნონ თხოვნა ქ. ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობის სახელზე.

754 7—3

ტფილისის ქალაქის გამგეობას ესაჭიროება

1. სტატისტიკურ ბიუროს გამგე
2. სამისამართო ბიუროს გამგე.

და 3. მიწის-ზომის საქმის მწარმოებელი.

მსურველთ უნდა წარმოადგინონ თავისი Curriculum vitae ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში. აქვე შეიძლება მიიღონ ყოველგვარი ცნობები.

462 2—2

საქართველოს რესპუბ. მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, ვისაც აქვს სამინისტროს ნებართვა, ქვა-ნახშირის გატანის შესახებ, რომ დღემდის გაცემული ნებართვები უნდა წარმოდგენილ იქნას სამინისტროში 1 მაისამდის და გადაცვლილ ახალ ნებართვებზე.

ის გაცემული ნებართვები, რომლებითაც ჯერ არ უსარგებლია მათ მეპატრონეებს და რომლებიც აღნიშნულ ვადამდის არ იქნება წარმოდგენილი სამინისტროში ახალზე გადასაცვლელად გაბათილებულ იქნებიან.

465 2—1

ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ 1920 წ. 24 აპრილიდან გამოცემულია საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნები ათას მანეთის ღირებულებისა. 464 1—1

ინგლისის სააქციონერო საზოგადოება „ლევანტი“

ტფილისის განყოფილება, რუსთაველის პროსპ., № 9, ტელ. № 9—92.

ღებულობს ლონდონის დამზღვევ კორპორაციის სახელით

სხვა და სხვა ბარგის ზღვაზე დაზღვევას მსოფლიოს ყველა პორტების მიმართულებით. დაზღვევა და ყოველ-გვარ ცნობების მიღება შეიძლება კანტორაში, და აგრეთვე, სუბ-აგენტ რ. ვ. ღვამიჩავასთან შემდეგი მისამართით: როზენოვის ქ., № 1, ტელ. 14—71, ბინის ტელეფ. 4—26.

786 1—1

ქართული სავაჭრო აქციონერული ბანკმა ქ. ფოთში

ფინანსთა მინისტრის მიერ 9 აპრილს 1920 წლის დამტკიცებულ წესდების თანახმათ უკვე დაიწყო მოქმედება 19 ამა აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ წესდებით ნებადართულ, საბანკო ოპერაციებს.

457 3—2

გამგეობა ქართული აქციონერულ ბანკისა ქ. ფოთში

ოფიციალური განყოფილება

შტატი

იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

§	მუხლი	თანამდებობათა სახელწოდება და ხარჯი.	რიცხვი.	თვიურად. ერთს.	თვიურად. ყველას.	წლიურად. ერთს.	წლიურად. ყველას.
15		**საპყრობილეთა მმართველობის შენახვა.**					
	1	**პირადი შედგენილობის შენახვა პირველ ხარისხ. საპყრობილეში. ტფილ. № 1 საპყრობილე.**					
		საპყრობილეს უფროსი	1	3400	3400	40800	40800
		მისი თანაშემწე: უფროსი	1	3100	3100	37200	37200
		" " უმცროსი	4	2800	11200	33600	134400
		ეკონომი (სამეურნეო ნაწილის გამგე)	1	2800	2800	33600	33600
		საქმის მწარმოებელი	1	2000	2000	24000	24000
		ბუჰგალტერი	1	1800	1800	21600	21600
		კანცელარიის მოხელე	5	1300	6500	15600	78000
		უფროსი ზედამხედველი	18	2000	36000	24000	432000
		უმცროსი ზედამხედველი კაცი და ქალი	169	1900	321100	22800	853200
		ჯამი 1 მუხლისა	201	21100	387900	253200	654800
		ქუთაისის საპყრობილე (სამი განყოფილებით:					
		საპყრობილის უფროსი	1	3700	3700	44400	44400
		მისი თანაშემწე: უფროსი	1	3400	3400	40800	40800
		" " უმცროსი	5	3100	15500	37200	186000
		ეკონომი (სამეურნეო ნაწილის გამგე)	1	3100	5100	37200	37200
		საქმის მწარმოებელი	1	2000	2000	24000	24000
		ბუჰგალტერი	1	1800	1800	21600	21600
		კანცელარიის მოხელე	4	1155	4620	15860	55440
		შიგნით და გარეთ მცველი: უფროსი ზედამხედველი	28	2000	56000	24000	672000
		უმცროსი ზედამხედველი	183	1900	347700	23800	4172400
		ჯამი	225	22155	437820	365860	5253840
		მეორე ხარისხის საპყრობილეები.					
		ტფილ. № 2 საპყრობილე.					
		საპყრობილეს უფროსი	1	3200	3200	38400	38400
		მისი თანაშემწე: უფროსი	1	3000	3000	36000	36000
		" " უმცროსი	2	2700	5400	32400	64800
		ეკონომი (სამეურნეო ნაწილის გამგე)	1	2700	2700	32400	32400
		საქმის მწარმოებელი	1	2000	2000	24000	24000
		ბუჰგალტერი	1	1800	1800	21600	21600
		კანცელარიის მოხელე	4	1300	5200	15600	62400
		შიგნით მცველი: უფროსი ზედამხედველი	8	2000	16000	24000	192000
		უმცროსი ზედამხედველი	65	1900	123500	22800	1482000
		ჯამი	84	20600	162800	247200	1953600
		სოხუმის საპყრობილეში:					
		საპყრობილეს უფროსი	1	3000	3000	36000	36000
		მისი თანაშემწე: უფროსი	1	2700	2700	32400	32400
		" " უმცროსი	2	2400	4800	28800	57600
		კანცელარიის მოხელე	2	1155	2310	13860	27720
		უფროსი ზედამხედველი	4	1800	7200	21600	86400
		უმცროსი ზედამხედველი	33	1600	52800	19200	633600
		ჯამი	43	12655	72810	151860	873720
		გორის საპყრობილე:					
		საპყრობილეს უფროსი	1	3000	3000	36000	36000
		მისი თანაშემწე	1	2400	2400	28800	28800
		გადამწერი	1	1155	1155	13860	13860
		უფროსი ზედამხედველი	3	1800	5400	21600	64800
		უმცროსი ზედამხედველი	24	1600	38400	19200	460800
		ჯამი	30	9955	50355	119460	604260
		მესამე ხარისხის საპყრობილე.					
		ფოთის საპყრობილე:					
		საპყრობილეს უფროსი	1	2800	2800	33600	33600
		მისი თანაშემწე	1	2400	2400	28800	28800
		გადამწერი	1	1155	1155	13860	13860
		უფროსი ზედამხედველი	2	1800	3600	21600	43200
		უმცროსი ზედამხედველი	13	1600	20800	19200	249600
		ჯამი	18	9755	30755	117060	369060
		თელავის საპყრობილე:					
		საპყრობილეს უფროსი	1	2700	2700	32400	32400
		მისი თანაშემწე	1	2300	2300	27600	27600
		გადამწერი	1	1085	1085	13020	13020
		უფროსი ზედამხედველი	2	1800	3600	21600	43200
		უმცროსი ზედამხედველი	13	1600	29800	10200	249600
		ჯამი	18	9485	30485	113820	365820

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

განკარგულებანი

მთავრობის საქმეთა მმართველისა.

№ 21.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის მანქანაზე გადამწერი—მარიამ ზაქარიას ასული შაჰვარიანი განთავისუფლებულ იქმნას თანახმათ მისი თხოვნისა, თანამდებობიდან ა. წ. 21 აპრილიდან.

2. დაინიშნოს ამა წლის 21 აპრილიდან ამავე მმართველობის მანქანაზე გადამწერად კლარა გიორგის ასული რამიშვილი.

მთავრობის საქმეთა მმართველი **ჯაფარიძე.**

—

შინაგან საქმეთა მინისტრის.

14 აპრილი, 1920 წ., № 27.

დათხოვნილია სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, მივლინებული ექიმი ვეტერინარი თევდორე ცინკაძე ამა წლის 1 აპრილიდან.

15 აპრილი, 1920 წ., № 28.

დათხოვნილია: ახალციხის მაზრის კომისარი გომართელი თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ამა წლის 22 მარტიდან.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

15 აპრილი, 1920 წ., № 110.

დაინიშნოს: არსებულ კანონების გადამსინჯავ კომისიის მდივნად სევერიან ნესტორის ძე ფალავა ა. წ. აპრილის 15-დან.

20 აპრილი, 1920 წ., № 119.

თავისუფლება მიეცა ავადმყოფობისა გამო სამინისტროს კანცელარიის ბუჰგალტერის თანაშემწეს მარიამ მარკოზის ასულს ალექსიძისას ა. წ. აპრილის 1-დან.

20 აპრილი, 1920 წ., № 120.

თავისუფლება მიეცა ავადმყოფობის გამო სამინისტროს კანცელარიის უფროსს დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძეს ორი თვის ვადით ა. წ. აპრილის 16-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი **გ. ყორდანია.**

—

იუსტიციის მინისტრისა.

23 აპრილი, 1920 წ., № 122.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. აპრილის 8-ს დადგენილების ძალით დამტკიცებულია თანამდებობაზე ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი თადეოზ გრიგოლის ძე ვაჩნაძე.

23 აპრილი, 1920 წ. № 123.

რესპუბლიკის მთავრობის ა/წ. აპრილის 8-ს დადგენილების ძალით დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე ა/წ. აპრილის 8-დან.

23 აპრილი, 1920 წ., № 124.

რესპუბლიკის მთავრობის ა/წ. აპრილის 8-ს დადგენილების ძალით დამტკიცებულია თანამდებობაზე სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელი დიმიტრი მიხეილის ძე ჩხატარაიშვილი.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

11 მარტი, 1920 წ. № 71.

დაინიშნოს: გორის ხაზინის მოანგარიშეებათ იმავე ხაზინის რეგისტრატორები დავით მურადოვიდა შალვა ფავლენიშვილი ამა წლის 6 მარტიდან.

11 მარტი, 1920 წ. № 72.

დაინიშნოს: გორის ხაზინის პირველ ხარისხის ბუჰღალტრად ტფილისის ხაზინის მე-2-ე ხარისხის ბუჰალტერი იოსებ ივანეს ძე მელიქოვი ამა წლის 26 თებერვლიდან.

16 მარტი, 1920 წ. № 73.

დათხოვნილ იქმნენ: სამსახურიდან სახელმწიფო ქალალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი შალვა ივანეს ძე ბერძენიშვილი თანახმად თავისი თხოვნისა ამა წლის 15 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ. № 74.

დაინიშნოს: სახელმწიფო ქალალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად ანდრია სამსონის ძე დუმბაძე ამა წლის 15 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ. № 75.

განთავისუფლებულ იქმნას: თავის თანამდებობიდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს რწმუნებული ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი ამა წლის 1 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ. № 76.

დაინიშნოს: სამინისტროს კანცელარიის რეგისტრატორი მიხეილ დიმიტრის ძე წვერავა, იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ამა წლის 15 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 77.

დაინიშნოს: სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ოლლა ალექსანდრე სოკოლოვის ასული ამა წლის 15 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 78.

დაინიშნოს: სამინისტროს კანცელარიის რეგისტრატორი მარიამ მიხეილ ახობაძის ასული ამავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ამა წლის 15 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 79.

დაინიშნულ იქნას: სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშეწედ რაფაელ ქრისტეფორის ძე ფარცხალაძე ამა წლის 12 მარტიდან.

30 მარტი, 1920 წ., № 100.

დაინიშნოს: საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის განყოფილების გამგეთ სენატის ხაზინის ხაზინადარი ალექსანდრე ივანეს ძე მუსერიძე ამა წლის 20 მარტიდან.

31 მარტი, 1920 წ., № 101.

გადმოყვანილ იქნეს: დროებით შულავრის ხაზინის მე-II ხარისხ. მოლარე კონსტანტინე დავიდოვი—ტფილისის ხაზინაში იმავე თანამდებობაზე ამა წლის მარტის 31-დან.

31 მარტი, 1920 წ., № 102.

განთავისუფლებულ იქნას: სამსახურიდან სავაჭრო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე დიმიტრის ძე თუხარელი სახელმწიფო კონტროლში დანიშვნის გამო ამა წლის 1 აპრილიდან.

3 აპრილი, 1920 წ., № 103.

გადარიცხულ იქმნას საბიუჯეტო—სახაზინო ნაწილის რეგისტრატორი ლეონიდე დიმიტრის ძე ტიანგინსკი ბუჰალტერის თანაშემწის თანამდებობაზე ამა წლის აპრილის პირველიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ხ. ავალიანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

10 მარტი, 1920 წ. № 14.

გამწესებულნი არიან: მოქალაქე მოსე ხუხუნაშვილი ზედამხედველად დაბალი ჯამაგირით ტფილისის ტელეფონის ქსელზედ; ყოფილი ფოსტალიონი ილია ჩიკვაიძე და მოქალაქე კაპიტონ ჭანტურია ახლათ ფოსტალიონებათ 420 მან. ძირითადი ჯამაგირით წელიწადში და მეორე კატეგორიის მიმატებებით: ჩიკვაიძე—გუდაუთში, ჭანტურია—გალში, ყოფილი ფოსტალიონი და საველე მოხელე გრიგოლ გვარამაძე და ყოფილი მოხელე ქალი ანნა ატოიანცი მეექვსე ხარისხის მოხელეებათ: გვარამაძე არტაანში, ატოიანცი მეხუთე სამოქალაქო განყოფილებაში; ხუხუნაშვილი 1 მარტიდან, ჩიკვაიძე 16 მარტიდან, ჭანტურია, გვარამაძე და ატოიანცი 11 მარტიდან 1920 წლისა.

დანიშულნი არიან: სალხინოს ფოსტის განყოფილების უფროსი მარკოზ გადილია იმავე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად; ფოსტალიონები: გუდაუთის—გიორგი სიხარულიძე და ჭიათურის ნინო ჟღენტი მეექვსე ხარისხის მოხელეებათ იმავე კანტორებში; გადილია 1 მარტიდან, სიხარულიძე 16 მარტიდან, ჟღენტი 11 მარტიდან.

გადაყვანილნი არიან: ტელეფონის ქსელის ზედამხედველი ალექსანდრე გაევსკი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: გალის მე-6 ხარისხის იონა ძიძიგური, ზუგდიდის მე-6 ხარისხის ილია ჯიჯელავა, აბაშის მე-4 ხარისხის შუშანიკა ნადარეიშვილი და ფოსტალიონები: ხორშის—აკაკი გოგია და ფოთის—გიორგი ლემანჯავა იმავე წოდებებით; გაევსკი ტფილისის ტელეგრაფში, ძიძიგური—ზუგდიდში, გოგია—ფოთში, ჯიჯელავა—გალში, ლემანჯავა—ხორშაში; გაევსკი, გოგია და ლემანჯავა 1 მარტიდან, ნადარეიშვილი, ძიძიგური და ჯიჯელავა 11 მარტიდან 1920 წელსა. ხოლო ნადარეიშვილი, ძიძიგური და ჯიჯელავა თანახმად თხოვნებისა.

დათხოვნილია სამსახურიდან: მეხუთე ხარისხის მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ანნა ოვსეპიანცი 11 მარტიდან 1920 წელსა.

დათხოვნილია: მესამე ხარისხის მოხელე ტფილისის სამოქალაქო 11 განყოფილებისა ილარიონ კურტანიძე, თანახმად 1100 მუხლის სისხლის სამართლის კანონისა და მიცემულია პასუხის გებაში თანახმად 362 მუხლ. ძალის იმავე დებულებისა პირველ მარტიდან 9120 წლისა.

17 მარტი, 1920 წ. № 15.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონები: ივანე ბერძენიშვილი, ანტონ ბუკუჩავა, პარმენ ნინუა—ახლად ფოსტალიონებათ: ბერძენიშვილი ტფილისის პირველ განყოფილებაში 720 მან. ძირითადი ჯამაგირით, ბუკუჩავა გუდაუთში 120 მან. ძირითადი ჯამაგირით. ნინუა—ყვირილაში 600 მან. ძირითადი ჯამაგირით ბერძენიშვილი 16 მარტიდან, ბუკუჩავა და ნინუა 21 მარტიდან 1920 წლისა.

დანიშნულია: ბორჯომის კანტორის ფოსტალიონი ირაკლი ცომაია მეექვსე ხარისხის მოხელეთ წნორის-წყალზედ 21 მარტიდან 1920 წლისა.

გადაყვანილნი არიან: ქუთაისის მეოთხე ხარისხის მოხელე ნინა ასათიანი (ასლანაძე) და სართაჭალის მეექვსე ხარისხის ზინოვია თხინვალელი იმავე წოდებით: ასათიანი ქუთაისის სამოქალაქო განყოფილებაში 16 მარტიდან, თხინვალელი თელავში 21 მარტიდან 1920 წლისა თანახმად თხოვნისა.

გამარიცხულნი არიან სიებიდან: ყვირილის ფოსტალიონი აქვსენტი ადამია და სოხუმის პირველი ხარისხის მოხელე ზდანკევიჩი, კონსტანტინე ადამია სამხედრო სამსახურში მიღების გამო 1 მარტიდან, ზდანკევიჩი სიკვდილის გამო 19 მარტიდან 1920 წელსა.

საქმეთა მმართველის უფროსი **მგელაძე.**

საქართველოს სენატის საადმინისტრაციო განყოფილებისა

1920 წ. აპრილის 22, № 18.

დანიშნულ იქნას მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე რაჭა-ლეჩხუმის სამომრიგებლო ოლქში გიორგი ალმასხანის ძე ხუტულაშვილი 1920 წლის 2 აპრილიდან.

1920 წლის აპრილის 22, № 19.

დამტკიცებულ იქნას მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე თიონეთის მაზრაში სვიმონ მიხეილის ძე ხუციშვილი დღიდან მისი არჩევისა 1920 წლის 8 მარტიდან.

1920 წლის აპრილის 22, № 20.

დამტკიცებულ იქნას: მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე რაჭის მაზრაში მინა ლევანის ძე გოცირიძე დღიდან მისი არჩევისა 1920 წლის 15 მარტიდან.

1920 წლის აპრილის 22, № 17.

დაინიშნოს: მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე შორაპნის მაზრის გიორგი სიმონის ძე წერეთელი 1920 წლის 2 აპრილიდან.

1920 წლის აპრილის 22, № 21.

დამტკიცებულ იქნას: არისტონე ხვთისავრის ძე კიკნაძე გორის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დღიდან მისი არჩევისა 1920 წლის 6 მარტიდან.

თავმჯდომარის მაგიერ **გრ. გველესიანი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

17 აპრილის სხდომა

სხდომას დაესწრენ თავმჯდომარის მაგიერ ნ. რამიშვილი, მინისტრები: ხომერიკი, ლორთქიფანიძე, მინისტრთა ამხანაგები: ბახტაძე, ავალიანი, ჭიჭინაძე, ჭავჭანიძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ქარცივაძე, სახელმ. კანტრ. ამხანაგი ანდრონიკაშვილი, საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დიდებულიძე.

დახმარების აღმოჩენა.

1. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მოხსენება 75.000.000 მანეთის გადადების შესახებ, აბრეშუმისა და მატყლის მწარმოებელთათვის, სესხის სახით, დახმარების აღმოსაჩენად, წარმოება-გაყიდვის საქმეში მიღებულ იქნას.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა გამოთხოვილ იქმნას, როგორც საგანგებო კრედიტი კანონმდებლობითი წესით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება დუშეთის სამაზრო ერობისათვის სურსათ-სანოვაგის შესაძენად 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქმნას და დაევალოს უწყებას წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

არჩევნების გადადება.

ახალქალაქის საერობო არჩევნები გადადებულ იქნას დროებით, ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო.

ერობათა სასარგებლოთ მიწ. მოქ. სამინისტროს საიჯარო განყოფილების შემოსავლიდან 20 პროც. გადადება.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება საიჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან 20 პროცენტის ერობათა სასარგებლოდ გადადების შესახებ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას მოხსენებასთან დართულ დეკრეტის სახით.

შინ. საქმეთა სამინისტროში

გაფიცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ბორჯომის ქალაქის მოურავისაგან: „ადგილობრივ შუშეულობის ქარხანაში 21 აპრილს საღამოს გამოცხადდა გაფიცვა. მოვიწვიე ქალაქის თვითმართველობის, ერობის, პროფესიონალური კავშირის და პოლიტიკური ორგანიზაციების შეერთებული კრება შრომის მინისტრის რწმუნებულის დასწრებით, რასაც შედეგათ მოყვა გაფიცვის მოხსნა. საჭიროა მიღებულ იქმნას ზომები, რათა ადგილობრივ მუშებს ხელფასი დროზე ეძლეოდეთ“.

შუამდგომლობა.

შოფერების ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დაერთოს მათი 17 ავტომობილებს ტფილისიდან ყაზბეგამდის მიმოსვლისა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ სცნო შესაძლოთ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საღამო

ტფილისის ელლინთა საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დაერთოს მათ გააგრძელონ ღამის 3 საათამდის საღამო, რომელსაც ისინი მართავენ საქველმოქმედო მიზნით ტფილისის ელინთა გიმნაზიის სასარგებლოთ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ სცნო შესაძლოთ დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

იარაღის შეძენა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული აგრონომი სვიმონ ხუნდაძე გაემგზავრა ევროპაში სადაც უნდა შეიძინოს სხვა და სხვა საგანგებო იარაღები და მასალები.

სამეურნეო მანქანების მიღება.

მიწად-მოქმედების სამინისტროს ბათუმიდან დეპეშით აცნობეს, რომ იქ მიღებულია ევროპიდან ვამოგზავნილი შემდეგი სასოფლო სამეურნეო საქონელი: 400 ჰულვერიზადორი, 400 გოგირდის მანქანა, აპარატის ნაწილები და დანეულობა, ხსენებული საქონელი ამ დღეებში ჩამოტანილ იქნება ტფილისში და გაიცემა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საწყობიდან.

აგრარული რეფორმისათვის.

აგრარულ რეფორმის განხორციელების დასაჩქარებლად მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს მოახდინოს მიწის მზომელთა მობილიზაცია. ეს მობილიზაცია გამოწვეულია სპეციალისტების უქონლობის გამო. განზრახულია მობილიზაცია გამოცხადდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ მიწის მზომლებზე, რომელნიც 50 წელიწადს არ გადასცილებიან.

მობილიზაცია იქნება ერთი წლის ვადით. მობილიზაციის შესრულებისთვის დანიშნულია ყველა მიწის მზომელთა რეგისტრაცია პირველ მაისამდე. მობილიზაციაში გაწვეული მიწის მზომლები თავის ძველ ადგილს არ კარგავენ და ეძლევათ ძველი სამსახურიდან ერთი მესამედი ჯამაგირისა ოჯახის შესანახავად. გარდა იმისა დანიშნული ექნებათ მობილიზაციით გაწვევის დროს ცალკე ჯამაგირი. ვინც მობილიზაციას გაექცევა, ისინი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული, როგორც დეზერტირები. ეს პროექტი მობილიზაციისა მთავრობამ მიიღო და მალე დამფუძნებელ კრებაშიც იქნება დამტკიცებული.

კომერციული საკრებულო.

მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს სამინისტროსთან დაარსოს კომერციული საკრებულო, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს ფასები ადგილობრივ ბაზარზე და ამით გაუადვილოს დაწესებულებებს ნაწარმოების ყიდვა-გაყიდვა.

მიწის მორწყვა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს პროექტი 4830 დესეტინის მიწის მორწყვისა ყარაიაზში მთავრობამ მოიწონა და თანახმაა გაიღოს ამ მიზნით 9.368,000 მან. ამას გარდა სამინისტროს განზრახვა აქვს მომავალ წელს შეადგინოს პროექტი 15000 დესეტინის მიწის მორწყვისა იმავე ყარაიაზე მეოთხე და მეხუთე განყოფილებაში.

ს ა ო ბ ე ს ლ ე.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ თელავის

ერობიდან მიიღო 800 ფუთი ხორბალი ბორჩალოს მაზრის ერობისათვის სათესლედ.

კანონ-პროექტი

რეგისტრაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა აღნუსხვისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი კანონ-პროექტი წარუდგინა მთავრობას:

1. უქმდება მე-9 ტომის წიგნი მე-2 858-988 მუხლები რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულისა მცხოვრებთა რეგისტრაციისა. ნაცვლად ამისა შემოღებულია შემდეგი წესი რეგისტრაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა აღნუსხვისა.

2. დღიდან ამ კანონ-პროექტის გამოცემის და ძალაში შესვლისა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთათვის, გარდაცვლილ, დაბადებულ და დაქორწინებულთათვის — იურიდიულ აქტებათ, რომლებიც ადასტურებენ მათ მოქალაქობრივ მდგომარეობას, ითვლებიან მხოლოდ ის წიგნები სამოქალაქო რეგისტრაციის, დაბადების, დაქორწინების, განქორწინების და სიკვდილის — რომლებსაც აწარმოებენ ორგანოები ადგილობრივ მართველობისა—ერობათა და ქალაქთა თვითმართველობათა.

3. ახლად დაქორწინებულნი ან განქორწინებულნი მშობლები და ნათესავნი დაბადებულ ბავშვისა, მემკვიდრენი ან და ახლობელნი გარდაცვლილისა ვალდებულნი არიან აცნობონ ქორწინების, განქორწინების დაბადების და სიკვდილის შესახებ სათანადო ორგანოს ერობის ან ქალაქის თვითმართველობისა. (გათვალისწინებულია მუხ. მუხ. 8 9 ამ კანონ-პროექტით).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრე ან ნათესავი გარდაცვლილის არ დაესწრონ ან არ აღმოჩნდნენ მშობლები და ნათესავი დაბადებულისა მესამე მუხლში აღნიშნული მოვალეობის ასრულება ევალება იმ პირთ, რომლებიც ესწრებიან აღნიშნულ მოვლენებს ან ჯ ადასტურებენ მომხდარ ფაქტს.

4. ცნობა ამ კანონ-პროექტის მეორე მუხლში აღნიშნული შესახებ დაბადებისა, მათ რიცხვში მკვდრათ დაბადებულებისა—აგრეთვე ახლად დაბადებულთა სიკვდილისა—უნდა განცხადებულ იქნეს დაუყონებლივ.

5. დღიდან სამოქალაქო რეგისტრაციის შემოღებისა მეტრიკულ წიგნების ამონაწერი და უწყებები, რომლებსაც აწარმოებენ სასულიერო დაწესებულებანი—კარგავენ სამოქალაქო მდგომარეობის იურიდიულ დამამტკიცებელ საბუთის ძალას იმ შემთხვევაში, თუ არ არის წინასწარ სამოქალაქო რეგისტრაციაში გატარებული.

6. არც ერთ სარწმუნოების სასულიერო პირს უფლება არა აქვს შეასრულოს საეკლესიო წესი, რასაც მოითხოვს დაბადება, სიკვდილი, ქორწინება (ნათლა, ქორწინება, წესის აგება, წინდაცვეთა და სხვა), რომელთა შესახებ არ იქნება წინასწარ წარმოდგენილი მოწმობა, რომ ისინი არიან შეტანილი სათანადო ერობის, ან ქალაქის აღნუსხვის წიგნში. დასაფლავება არ შეიძლება, თუ სამოქალაქო რეგისტრაციის მოწმობა არ იქნება წარმოდგენილი.

თვითეულ ქალაქის და ერობის თვითმართველობასთან დგება განსაკუთრებული ამ მიზნისთვის ამორჩეული ქალაქის ან ერობის საბჭოების მიერ გამგეობის წევრის ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით განყოფილება რეგისტრაციისათვის და მცხოვრებთა აღნუსხვისთვის სათანადო ქალაქისა, ან მაზრისა.

8. იმ ქალაქებში, რომლებიც დაყოფილია რამდენიმე სამილიციო უბნად—თითო უბანში არსდება სარეგისტრაციო და მცხოვრებთა აღნუსხვის მაგიდა, რაც იქნება გამგეობის წევრის განკარგულებაში—რომელიც ნაჩვენებია 7 მუხლში.

9. მაზრებში ასეთივე მაგიდა არსდება ყველა წვრილ საერობო ერთეულთან.

შენიშვნა: თუ წვრილი საერობო ერთეული არ არის—იმ შემთხვევაში მაგიდა მოეწყობა ყველა სარაიონო კომისართან და ამ შემთხვევაშიც მაგიდას ხელმძღვანელობს გამგეობის წევრი (მუხ. 7).

10. ყოველ წლივ არა უგვიანეს 1 ნოემბრისა ერობის ან ქალაქის გამგეობის წევრი, რომელიც განაგებს რეგისტრაციის და მცხოვრებთა აღნუსხვის საქმეს—უგზავნის სათანადო მაგიდებს მომავალ წლისათვის ოთხ წიგნს (ორ-ორ ცალს) დამოწმებულს ხელმოწერით, ბეჭდით და ყაითანით შეკრულს სარეგისტრაციოთ „დაქორწინებულთათვის“. „განქორწინებულთათვის“. „დაბადებულთათვის“. და „გარდაცვალებულთათვის“. და სათანადო რიცხვს პირად ბარათებს თან დართულ ფორმის მიხედვით.

11. ყოველ ცალკე შემთხვევაში (დაბადება) ქორწინება, განქორწინება, სიკვდილი სარეგისტრაციო მაგიდას, სათანადო თვითმართველ ორგანოებისას შეაქვს მეტრიკულ წიგნში ნომრების მიყოლებით მშობლებისა ან აპეკუნებისა, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა და მათი მოწმეების, გარდაცვლილის ნათესავთა ან ახლობელთა თანდასწრებით. ჩაწერილობის ქვემოდ საჭიროა ხელის მოწერა მშობლების ან აპეკუნის, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა და მათი მოწმეებისა, ნათესავის ან და იმის ვინც აცხადებს გარდაცვლილის სიკვდილის შესახებ. გარდა ამისა მეტრიკულ წიგნში ჩაწერილობის ქვემოდ საჭიროა ხელის მოწერა გამგეობის წევრისა, თემისა (სარეგისტრაციო მაგიდებში კი, რომლებიც სარაიონო კომისრებთან არის ხელის მოწერა კომისრისა) და რეგისტრატორისა. იმ პირთ, რომლებსაც ხელი უწერიათ მეტრიკულ წიგნში ჩაწერილობის ქვემოთ დაუყონებლივ ეძლევათ მოწმობა სამოქალაქო რეგისტრაციისა „დაბადებისა“, „ქორწინების“ „განქორწინების“ ან „გარდაცვალების“ იმის ხელის მოწერით ვინც აძლევს რწმუნებას აღნიშნულ მოწმობის მისაღებათ.

12. დამოუკიდებლივ მეტრიკულ წიგნში ჩაწერისა და მოწმობის მიცემისა დაუყონებლივ თანადასწრებით მშობლების ან აპეკუნისა ახლად დაბადებულისა დაქორწინებულთა და განქორწინებულთა და მათი მოწმეებისა, ან გარდაცვალებულების გამომცხადებელისა დგება პირადი ბარათი დაბადებულისა, დაქორწინბულთა, განქორწინებულთა და და გარდაცვალებულისა. პირად ბარათზე დასმულ უნდა იქნეს სათანადო ნომერი მეტრიკულ წიგნიდან.

13. ყოველ წლივ, არა უგვიანეს 15 იანვრისა, უბნის კომისრები ქალაქებში, წვრილი სათემო ერთეულები, ან და სადაც ასეთები არ არის სარაიონო კომისრები ვალდებულნი არიან გადაუგზავნონ ერობის და ქალაქის გამგეობის წევრებს მეტრიკული წიგნები გასულ წლისა. ამ წიგნების შევსებულ უკანასკნელ გვერდზე ასოებით უნდა აღნუსხულ იქნეს რიცხვი დაბადებისა, ქორწინებისა განქორწინებისა და სიკვდილისა დასახელებულ წიგნში შეტანილ რეგისტრაციის მიხედვით. წიგნები უნდა შემოწმებულ იქნეს ქალაქის ან ერობის გამგეობის წევრის მიერ სათანადო ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით და შენახული გამგეობის არხივში, რომლებიც იქნებიან ერთად-ერთი კანონიერი დამამტკიცებელი დაბადებისა, ქორწნებისა და სიკვდილისა. წიგნების მეორე ცალი ინახება სარეგისტრაციო მაგიდებთან.

14. ყოველთვეს, თვის 5 რიცხვის არა უგვიანეს, წვრილი საერობო ერთეულები, უბნების ან და რაიონის კომისრები მოვალენი არიან გადაუგზავნონ ერობის ან ქალაქის გამგეობას ყველა პირადი ბარათი, დაბადების, ქორწინების, განქორწინების და სიკვდილისა. ამ პირადი ბარათების მიღების თანავე რეგისტრაციის განყოფილებას შეაქვს ანბანის უწყებაში—რომელიც ინახება განყოფილებაში ცნობისათვის. პირად ბარათებს კი გზავნის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტში სისტემატიურ დასამუშავებლად.

თურქესტანი

თურქესტანის პოლიტიკური მდგომარეობა.

აპრილის 24-ს თურქესტანის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა თურქესტანის დამფუძნებელ კრების კომიტეტის მდივანმა ვ. ჩაიკინმა, რომელმაც დაახლოებით შემდეგი აღნიშნა: თურქესტანის პოლიტიკური სიტუაცია უმთავრესად ასეთია: თურქესტანს აქვს რამდენიმე საუკუნის კულტურა. იგი არის თავისებური ქვეყანა. მას აქვს საკმაო ეკონომიური რესურსები. თურქესტანი დაკავშირებული იყო რუსეთთან მთელი ნახევარი საუკუნე, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც ეყრდნობა რუსეთის ფართე დემოკრატიულ ორიენტაციას.

დიდი ღვაწლი მიუძღვით თურქესტანის და რუსეთის მტკიცე ურთიერთობის დამყარებაში უბაიდულა-ასსა-დულას, ხოჯა-ხოჯაევს, მუნავარ ქაჩის და მუსტაფა ჩოქაევს. ამათთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ბაშკირიის მეთაურიც ზაკი ვალიდოვიც. ამათ ბევრი რამ გააკეთეს. თურქესტანის სასარგებლოდ. მტკიცედ გამოსჭედეს თურქესტანის პოლიტიკური ცხოვრება. ესენი ჯერ ისევ 1910 წლიდან მტკიცედ ადგნენ იმ აზრს, რომ თურქესტანი რუსეთს უნდა შეერთებოდა ფედერატიულ საფუძველზე. ამ ჟამად ეს აზრი უფრო გაცხოველებულია და თურქესტანის სურვილიც ასეთია, რომ განახლებულ რუსეთს დაუკავშირდეს ფედერატიულად.

გიორგობისთვის გარდატეხის შემდეგ თურქესტანის პოლიტიკური მდგომარეობა უფრო გამოირკვა. ბოლშევიზმს თურქესტანისთვის უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პირები სთესავდნენ ბოლშევიზმს; მაგალითად: მარდაკერების, კირგიზელების და ჩერეკოვარების შორის. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო და თურქესტანში შეიქმნა ეგრედ წოდებული საბჭოთა უფლება. მაგრამ ეს ძალა უფლება იყო და არის ვიწრო კლერიკალური ხასიათისა. მუსულმან კომუნისტების მისწრაფება რუსეთისკენ არის. თურქესტანი უეჭველია რუსეთთან შევა ფედერატიულ კავშირით. თურქესტანის ასეთი მიდრეკილება უსათუოდ ჰპოვებს რუსეთში თანაგრძნობას.

ბათომის გარუმეუ

დამფუძნებელ კრების წევრების პ. ხაყვარელიძისა და ს. ფირცხალავას დეპეშა

მეჯლისმა აპრილის 22 სხდომაზე განიმეორა შარშანდელი ყრილობის დადგენილება, რომ ბათომის ოლქი საქართველოს განუყოელი ნაწილია და სთხოვს საქართველოს მთავრობას წესიერების დასაცავად და მცხოვრებთა სიცოცხლის და ქონების უზრუნველსაყოფად დაიკავოს ბათომი და ბათომის ოლქი თავის ჯარებით. მეჯლისმა აღშფოთებით აღნიშნა, რომ საზავო კონფერენცია ფიქრობდა ბათომის ცალკე გამოყოფას და დაადგინა, რომ მკვიდრნი ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან ასეთ გადაწყვეტილებას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ამის წინააღმდეგ.

დამფუძნებელ კრების წევრნი

ხაყვარელიძე და ფირცხალავა.

მეჯლისის მადლობა.

ბათომის ოლქის მუსულმანთა მეჯლისი მოგახსენებთ რა ულრმეს მადლობას მეჯლისის გახსნის შესახებ მოლოცვისა გამო, მიესალმება დედა სამშობლოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას, რომ ბათომის ოლქის ქართველ მუსულმანთა ყრილობის მიერ 31 აგვისტოს გამოტანილი დადგენილება ქ. ბათომის და მის ოლქის საქართველოსთან ავტონომიურ გაერთიანების შესახებ დღემდის კიდევ არ არის სისრულეში მოყვანილი, მეჯლისმა კვლავ დაადასტურა 31 აგვისტოს დადგენილება. მეჯლისს ღრმად სწამს, რომ ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს ბათომისა და მის ოლქის საქართველოსგან ჩამოშორებას. მეჯლისი ფიცს სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს საქართველოს მთლიანობისთვის. გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას. გაუმარჯოს სამუსლიმანო ავტონომიურ საქართველოს დედა სამშობლოს ფარგლებში.

მეჯლისის თავმჯდომარე **მამედ-ბეგ აბაშიძე.**

უცხოეთი

იაპონია და საბჭოთა რუსეთი.

ჩიჩერინმა რადიოს საშუალებით მიმართა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს პროტესტით, რომ იაპონიამ შესწყვიტოს თავის ესკადრების გაგზავნა ჩრდილოეთ სახალინაში.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი.

კოპენჰაგენში ჩავიდა რუსეთის კოოპერატიული დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: კრასინი, ნორინი, შუისკი და როსტოვსკი. თემთა პალატაში გრენვოდმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა წინაალმდეგი არ იქნება რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლისა ინგლისში, გარდა ლიტვინოვის, რომელიც გადასახლებული ინგლისიდან 1918 წ.

რუმინეთი და საბჭოთა რუსეთი.

ჩიჩერინმა რადიოთი გაუგზავნა დეპეშა რუმინეთის მინისტრთა საბჭოს, სადაც იგი ითხოვს, რომ საზავო მოლაპარაკება დაიწყონ რუმინეთმა და რუსეთმა.

სან-რემოს კონფერენცია

უმაღლესი საბჭო განაგრძობს ოსმალეთის ტერიტორიალურ საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტას, საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს სომხეთის საკითხს. სომხეთის დელეგატმა პოლოს ნუბარ-ფაშამ სომხეთის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა. მას ყურადღებით მოუსმინა საბჭომ.

ინგლისი.

ყალბი ბანკნოტები.

ინგლისის თემთა პალატაში შეკითხვის პასუხად ბ-ნმა შორტმა განაცხადა: მართალია ამ ბოლო დროს ინგლისში რამდენიმე შემთხვევა იყო ყალბი ბანკნოტების გავრცელებისა და ამ საქმის გამო რამდენიმე დამნაშავე სამართალშია არის მიცემული, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ყალბი ბანკნოტები საბჭოთ რუსეთში იყოს დამზადებული, რადგანაც იქაური ნამუშევარი მეტათ მდარე ხარისხისაა და სიყალბეც ადვილად შეამჩნევა. ეს ყალბი ბანკნოტები ინგლისშივეა დამზადებული.

საფრანგეთი.

ნადავლის გაყოფა.

ლოიდ-ჯორჯისა და ვილსონის შეთანხმებით საფრანგეთს უნდა გადასცემოდა საერთო რიცხვით მხოლოდ 50 ათას ტონის მზიდველი გერმანიის გემები, რომლებიც საფრანგეთის ნავთსადგურებში იყო დატყვევებული. მაგრამ ფრანგი მეზღვაურები ეწინააღმდეგენ, რომ თუ ყველა ეს გემები საფრანგეთს არ გადაეცა, ყველას ჩავძირავთო. ეს გემები რომ საფრანგეთს დაეთმონ, მაშინ მას გაცილებით მეტი სავაჭრო გემები ექნება რაც ვინემ დაწყებამდე რასაც ვერ ურიგდებიან მისი მოკავშირენი.

დანია.

საერთაშორისო სახალხო უნივერსიტეტი

კოპენჰაგენის მუშათა უნივერსიტეტის ხელმძღვანელის თაოსნობით დანიაში არსდება საერთაშორისო სახალხო უნივერსიტეტი, სადაც უმთავრესად უცხოელებს მიიღებენ. უნივერსიტეტი ერთს შენობაში იქნება მოთავსებული. მსმენელები 10-12 კაცი ცალ ცალკე ჯგუფათ იცხოვრებს ცალკე შენობაში. კურსი ერთ წლიანი იქნება. უპირველესი ყურადღება მიექცევა პრაქტიკულ მეცადინეობას და მეცნიერებას.

სხვა და სხვა

26 აპრილს ღამით ამაღლების (ვოზნესენსკის) ქუჩაზე აღმოჩენილ იქნა კომუნისტ-ტერორისტების ორგანიზაცია პანტელეიმონ კვინტრაძის მეთაურობით. ნახეს პარიკები, ყუმბარები, მაუზერები და 46-მანეთი. საბუთები გამოქვეყნდება.

იუსტიციის სამინისტრო იტყობინება, რომ გაზეთ „სლოვო“-ს აპრილის 24-ს №-ში დაბეჭდილია ცნობა თითქოს ოლქის სასამართლოს სამორიგეო ოთახში გაჩენილი ცეცხლი ჩაექროს ცეცხლის ჩამქრობ რაზმს და დამწვარიყოს ხსენებულ ოთახის კარები. სამართლეს არ შეეფერება. ცეცხლი რაზმის მოსვლამდე იქმნა ჩაქრობილი. ზარალი არ არის.

განათლების მინისტრის განკარგულებით ყველა სასწავლებლებში სწავლა შეწყდება 12 ივნისს. შემდეგ კლასებში გადასასვლელი გამოცდები დაიწყება 12 ივნისიდან და გასტანს 19 ივნისამდე. სწავლა ყველა რესპუბლიკის სასწავლებლებში განახლდება 13 ენკენისთვეს, მისაღები გამოცდები კი 6-ენკენისთვეს.

კინტრიშის ხიდის შეკეთება დამთავრდება 1 მაისს.

1 მაისს გაიხსნება ნაძალადევის სახალხო სახლი, რომლის აშენება რაოდენიმე მილიონი დაჯდა. სახლის გახსნის წინ მოხსენებას გააკეთებს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. მოწვეულ იქნებიან აგრეთვე დამფუძნებელ კრების წევრნი და სხვა საპატიო პირები.

2 მაისს სახელმწიფო თეატრში გაიმართება შეგარდენის სალამო.

ბათომში მაისის 14-ს ბათუმის ქართულ გიმნაზიის სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო საკონცერტო სალამო. სალამოსთვის მიწვეულნი არიან ტფილისიდან მწერლები და მომღერლები.

24 აპრილს ბათუმიდან ტფილისში ჩამოვიდა ბელგიის სამხედრო მისიის მეთაური დე-როვერ და ადიუტანტი—სოლიუსი.

ტფილისის სამაზრო ერობა სოფ. ხაშმში, მულანლოში აზამბურგში და სართიჭალაში აკეთებს წყალსადენს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ტფილისის მილიციამ.

25 აპრილს დასრულდა სახელმწიფო მოსამსახურეთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 51 დელეგატი სხვა და სხვა დაწესებულებიდან. ყრილობამ გადასწყვიტა მრავალი საჭირბოროტო საკითხი და მათი ცხოვრებაში გატარება მიანდო მომავალ გამგეობას, რომელიც შესდგება თერთმეტი წევრისგან.

← ინგლისის უმაღლეს კომისარის უორდროპის მაგივრათ დანიშნა ლეიტენანტ-კომანდირი ედმუნდ ლიუკი, რომელიც ტფილისში ჩამოვიდა 25 აპრილს, უორდროპი კი 26 აპრილს, საღამოს 6 სასთზე გაემგზავრა ბათუმში.

კულტურული მუშაობა ჯარში.

24 აპრილს საავტომობილო გუნდში ჯარის კაცთა მიერ გამართულ იქმნა სალიტერატურო საღამო. საღამო მით უფრო იყო შესანიშნავი, რომ აქ მონაწილეობას იღებენ რამოდენიმე თითქმის წერა-კითხვის სრულიათ უცოდინარნი ჯარის-კაცები. წარმოდგენილ იქმნა „აჭარა“ დრამა 1 მოქ. ილორელისა და „ფარნაოზის მესამე ცოლი“ კომედია ერთ მოქმედებათ. ჯარის-კაცთა ხოროომ იმღერა სხვა და სხვა ნაციონალური სიმღერები. საღამოს დაესწრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელი სექციის მთავარი ხელმძღვანელი, პოლკ. ართმელაძე, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა ჯარის-კაცთ.

მილიციაში

ტფილისის ხაზინაში ბოროტმოქმედების ჩადენის გამო, დააპატიმრეს მოლარე საყვარელიძე და ბუღალტერი ქურდოვანიძე, რომლებმაც წაღებული 180.000 მან. შეიტანეს სისხ. სამ. მილიციის სალაროში.

გამოირკვა, რომ 1919 წ. დეკემბრის 15-ს ბ. პროცემას შეუტანია ხაზინაში 181.368 მ. 50 კ. ნასყიდობის სიგელის დასამტკიცებლათ და შესაფერი კვიტანცია მიუღია. ქურდოვანიძეს და საყვარელიძეს გაუუქმებიათ საბუთი და ზემოთ აღნიშნული ქაღალდი გაუკეთებიათ ჰასან მამედ ალი-ოღლის სახელზე იმავე კვიტანციის №-ით, მხოლოდ გაუყვიათ. ეხლა, როდესაც უფროსმა ნოტარიუსმა არ დაუმტკიცა პროცერს ნასყიდობის სიგელი, მან მოითხოვა ფულის უკან დაბრუნება კვიტანციის წარმოდგენით.

ქურდოვანიძე და საყვარელიძე დანაშაულში გამოტყდნენ. მათი დაკითხვა გრძელდება. ფული ხაზინას გადაეცა.

— სისხლის სამ. მილიციამ შეიპყრო ევგენია ლუგანსკაია, რომელსაც ნაფიც ვექილ პ. კალანტაროვისთვის მოუპარავს ნივთები, ღირებული 25.000 მან. შეიპყრეს აგრეთვე მისი ამხანაგები მოხუცა და პოპოვა, რომელთაც მოპარულის განაღდებაში მიუღიათ მონაწილეობა.

ბიულეტენი
საქარ. ფიზ. ობსერვატორიის
ტფილისი, 25 აპრილი 1920 წ.

ნაშუად. 1 საათ. ჰაერის წოლა მმ.: 737.5; ჰაერის ტემპერატ.: 10.7; შეფარდებ. სინოტ. %: 43; მოღრუბლ.: 9; ქარი; SE 4; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 28.0; ბუნებრივ.: 24.1.

საღამ. 9 საათ.: ჰაერის წოლა მმ.: 734.8; ჰაერის ტემპერ.: 9.4; შეფარდებ. სინოტ. %: 59; მოღრუბლ.: 10; ქარი: SE 2; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 10.2; —ბუნებრივ.: 9.7 ჰაერის საშუალო ტემპერატ. 25 აპრილი: 8.5; ნორმალი: 13.7; მაქსიმალი: 11.7; მინიმალი: 4.8.

დილ. 7 საათ, 26 აპრილი. ჰაერის წოლა მმ.: 732.0; ჰაერის ტემპერ. 9.1; შეფარდებ. სინოტივ. %: 61; მოღრუბლ.: 9; ქარი: SE 5; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 15.9; ბუნებრივ.: 15.4; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: — შენიშვნა:—

დილ. 7 საათ., 25 აპრილი 1920 წ.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალი ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი ოელვა.
ტფილ.[1]	5.3	5	1	SE 2	—
ბორჯომი	—	—	—	—	—
ფოთი	—	—	—	—	0
სოხუმი	—	—	—	—	—
გაგრი	—	—	—	—	—

შენიშვნა: [1]) წვიმა დილ., ღამით.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭოში ავგუსტინე კარლოსის ძე იაკკემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ევგენია იოანე დაჩკევიჩის ასული რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1916 წელს 15 იანვარს, უკვალოდ დაიკარგა 1916 წელს, რის გამო აღნიშნული იაკკე თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ევგენია იაკკეს მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადოს საეპარქიო საბჭოს ზემოხსენებული პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 0340 1-1

ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭოში ინნა პეტრე დე-კლეიზის ასულმა ნოვიკოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ ქმარი მიხეილ ივანეს ძე ნოვიკოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წლის 5 ნოემბერს, უკვალოდ დაიკარგა 1915 წლის იანვრიდან, რის გამო აღნიშნული ინნა ნოვიკოვისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ მიხეილ ნოვიკოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით საეპარქიო საბჭოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 247 1—1

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი № 28440 გრიგოლ არუსტამოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 740 3—1

დაიკარგა პასპორტი პეტრე ივანეს ძე თაყაძის სახელზე, მიღებული მეჯვრისხევის სოფლის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 741 3—1

დაიკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 20795 ივანე მერქულის ძე აპრესიანცის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 742 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გრიგოლი ტერ-ოსიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 447 3—1

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ ანდრიას ძე ჯორბენაძის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულის სამმართველოდან ქ. ბათუმში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 749 3—1

დაიკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ: ერთი 17 დეკემბერს 1908 წ. № 2858 დმ მეორე—21 სექტემბერს 1913 წ. № 805. სტეფანე ივანეს ძე დავიდოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 774 3—1

სავალდებულო დადგენილება

ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული 1920 წ. 5 აპრილის სხდომაზე, სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო საათების განსაზღვრის შესახებ.

1) ვაჭრობა, როგორც ნარდათ, ისე ნაჭრობით, ყველა საწყობებში, მაღაზიებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში სწარმოებს დღეში 8 საათს.

2) კვირაობით და დამფუძნებელ კრების მიერ დეკრეტით ცნობილ უქმეებში ყველა სავაჭრო დაწესებულებანი დაკეტილი უნდა იყოს. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის სავაჭროები, რომლებიც ვაჭრობენ პურით, ხორცით, თევზეულობით, ძეხვით და მწვანილეულობით, რომელთაც უფლება აქვთ კვირა-უქმეებს ივაჭრონ შუადღის 12 საათამდე, რისთვისაც მომუშავეთ ეძლევათ განსაკუთრებული გასამრჯელო ერთ ნახევარით მეტი დღიური ხელ-ფასის ნორმისა.

შენიშვნა: კვირაში ერთი დღე იქმნას ცნობილი ყველასათვის სავალდებულოთ დასვენების დღეთ და ამ დღეთ კვირა ჩაითვალოს.

3) იმ სავაჭრო დაწესებულებებში, სადაც ვაჭრობენ მხოლოდ ხორცით, თევზეულობით და მწვანილეულობით ვაჭრობა სწარმოებს: ზაფხულში (1 მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე) დილის 6 საათიდან 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდან 4 საათამდე; ზამთარში (1 ოქტომბრიდან 1 მაისამდე) დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან 5 საათამდე.

შენიშვნა: თევზეულობით მოვაჭრეთ უფლება აქვთ აწარმოონ ვაჭრობა განუწყვეტლივ იმ პირობით, თუ მომუშავენი შეცვლილნი იქმნებიან მომუშავეთა მეორე წყებით და სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის სასტიკი კონტროლით.

4) სავაჭრო დაწესებულებანი, რომელნიც ვაჭრობენ ნარდათ ხილით და მწვანილეულობით აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულობით დილის 4 საათიდან 9 საათამდე და 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ზამთრობით: დილის 6 საათიდან 11 საათამდე და შუადღის 1 საათიდან 4 საათამდე.

5) საჩაიებში საკანდიტროებში და ყავახანებში ვაჭრობა სწარმოებს ზაფხულობითაც და ზამთრობითაც დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

6) წვრილი მოვაჭრენი, რომელნიც დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ, ვაჭრობენ საერთო წესის თანახმათ დღეში 8 საათს.

7) ოქრომჭედელთ, თამბაქოთი მოვაჭრეთ, ავეჯეულობით, რკინეულობით და სხვა ნივთებით მოვაჭრეთ, ფართლეულობით და გალანტერეული ნივთებით ნარდათ მოვაჭრეთ უფლება ეძლევათ ივაჭრონ განუწყვეტლივ, თუ მომუშავენი თანახმანი იქმნებიან, იმ პირობით, რომ სამუშაო დრო 8 საათზე ნაკლებ განისაზღვრებოდეს.

8) ყველა დანარჩენი დაწესებულებანი აწარმოებენ ვაჭრობას: ზაფხულში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს $4^1/_2$ საათიდან $6^1/_2$ საათამდე. ზამთარში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4 საათ. 6 საათამდე.

9) ყოველ გვარი მუშაობა და ვაჭრობა სავაჭრო დაწესებულებაში და მათ კანტორებში შაბათობით თავდება ნაშუადღევის 2 საათზე.

10) მაღაზიების კანტორებში მუშაობა ორი საათით გვიან იწყება და გრძელდება 6 საათს.

11) სავაჭრო დაწესებულებაში მუშაობის შეწყვეტამდე 15 წუთით ადრე შესავალი კარები უნდა იხურებოდეს და კარებზე იკიდებოდეს პლაკატების წარწერით: „მაღაზია დაკეტილია“.

შენიშვნა: სავაჭრო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან მაღაზიების შიგნით გამოსაჩენ ადგილას გამოაკრან პლაკატი, რომელზედაც ნაჩვენები უნდა იყოს ვაჭრობის დაწყების და გათავების დრო, აგრეთვე მოწოდება მოქალაქეთადმი, რომ მათ დახურვის დროს დასტოვონ მაღაზია.

12) ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხის გებაში იქმნება მიცემული სასჯელთა დებულების 20 მუხლით.

დედანთან სწორეა. ქალაქის საბჭოს კანცელარიის საქმისმწარმოებელი **აკ. ტყემალაძე.** 461 3—2

ქართველ მოქალაქეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა

იწვევს კავშირის წევრთა

საზოგადო კრებას

25 აპრილს ამა წელს დღისით 12 საათზედ კავშირის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა № 8.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. საორგანიზაციო კითხვები. 2. წევრთა არჩევა გამგეობაში. 3. საერთოდ მუსიკალურ-საოპერო საქმის დაყენება საქართველოში. ვინაიდან კითხვები ფრიად საყურადღებოა, ვსთხოვ ყველა კავშირის წევრებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროს. 765 3—2

განცხადება

ქართული სავაჭრო აქციონერული განკის გამგეობა ქ. ფოთში

ამით აცხადებს რომ, ფოთის საერთიერთო ნდობის საზოგადოება, 1920 წლის 18 აპრილიდან, თანახმათ დადგენილებათა, საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა, 1918 წლის 29 დეკემბრიდან და 1920 წლის 14 მარტიდან, ერთის მხრით და ქართული სავაჭრო ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრებისა, 18 ამა აპრილიდან, მეორე მხრით, გადაკეთდა ქართული სავაჭრო ბანკათ ქ. ფოთში, $3^1/_3$ მილიონ მანეთის ძირითადი თანხით და ამ უკანასკნელმა, დაიწყო რა მოქმედება თანახმად ფინანსთა მინისტრის მიერ 1920 წელს 9 აპრილს დამტკიცებულ წესდებისა, მიიღო ყოფილი საზოგადოების აქტივი და პასივი ყველა უფლება-მოვალეობით. ამის გამო ყველას, ვისაც რაიმე ანგარიშები აქვს ყოფილ საზოგადოებასთან შეუძლია ეს ანგარიშები განაგრძოს ქართულ სავაჭრო ბანკთან ფოთში. 458 3-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს გოქაული ი. ვ. გრინიოვი

ამით აცხადებს, რომ 27 მაისს 1920 წელს დილის ათ სათზე იმავე სასამართლოს დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უძრავ მამულზე, კუთვნილი მიცვალებულის სალომე ივანეს ასულის მღებროვის მემკვიდრეებისა—იოსებ ივანეს ძის მღებროვისა, ელენე ივანეს ასულის ამირაღოვისა, ნატალია ივანეს ასულის სარუმოვისა, მარიამ ივანეს ასულის დავიდოვისა და ოლგების გარდაცვალებულის ნიკოლოზ ივანეს ძის მღებროვისა, მდებარე ქალ. ქუთაისში, ლევაშოვის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ერთ ნაჭერ ეზოს ადგილს ხაზთა ზომებში: სამხრეთით 13 საჟ. და $2^3/_4$ ალაბი, ჩრდილოეთით 10 საჟ., აღმოსავლეთით 6 საჟ. $2^1/_4$ ალაბი და დასავლეთით 8 საჟ. და 2 ალაბი, სულ 94 ოთხკუთხი საჟენი, ზედვე აშენებული ორ სართულიანი სახლით, რომელიც არის დახურული ნაწილათ ყავრით და ნაწილათ თუნუქით, ქვედა სართული ამ სახლის არის ქვის, სამი განყოფილებით და ზედა სართული კი ხისა სამი განყოფილებით; მამული არის შეფასებული სამას თუმნათ (3000 მ.). რომლიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა დასაკმაყოფილებლად ალექსანდრე ივანეს ძის მღებროვისა გირაობის სიმტკიცით ჯამში 5000 მან., სარგებლით და საქმის საწარმოებლით და სხვათა მოვალეთ 1130 მან. საჯარო ვაჭრობა შეიძლება დაიწყოს აგრეთვე მე-1182 მუხ. ს.ს. წ.წ. როგორც მეორე საჯარო ვაჭრობა.

აღნიშნული მამული აქვს დაგირავებული ალექსანდრე ივანეს ძე მღებროვს ზემოხსენებულ ჯამში.

ყველა ვინც მოისურვებს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, გარდა პირთა აღნიშნულთ მე-1156[3] მუხ. ს.ს. წ.წ. ვალდებულია წარმოადგინოს საჯარო ვაჭრობის დაწყებამდინ 10% ზემოხსენებულ დაფასებისა.

ვრცელი სიის და სხვა ქაღალდების განხილვა ამ მამულის შესახებ შეიძლება ოლქის სასამართლოს კანცელარიაში. 0256 4—1

საყოველთაო საქონლით მოვაჭრე ამიერ-კავკასიის ამხანაგობა

იუწყება, რომ ამა წლის აპრილიდან

ხსლ ის გათომეში საგითუეო (оптовый) საწყობს და კანტორას

მედიკამენტების პირველი ტრანსპორტი უკვე

მიღებულია საუკეთესო ფაბრიკებიდან.

შეკვეთა დროებით შეიძლება შემდეგი მისამართით: ბათომი, სავაჭრო შესახვევი, 6. ტფილისი, განოვის ქ., № 7. 746 3—3

სავაჭრო სახლი გოსველერი და ამხ.

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**